# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — ორშაბათი, 18 სექტემბერი 1900 წ. № 1242

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**
**ტელეფონი № 372.**

## სკოლა და პანსიონი
### ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

**ადრესი:** ოლგინის ქუჩა (Ольгинская ул.), სახლი დრობიშევისა, ზემმელის აფთექის მახლობლად. (10—7)

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა,** მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს,** ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.—ადრესი: **RAPHAEL ISARLOFF.**
(ნ. 16—13) **Paris, rue des Ecoles, 40.**

## ახალი ამბავი

✦ 20 სექტემბრისათვის სოხუმში მოელიან სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს, რომელმაც უნდა დაათვალიეროს **ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მადნები.**

✦ 16 სექტემბერს ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა **ტფ. ხელოსანთა დეპუტატების** კრება, რომელზედაც ხელოსანთა თავმა, სერობიანცმა, წაიკითხა თავისი პასუხი სარევიზიო კომისიის ბრალდებაზე. კრებამ არ შეიწყნარა პასუხი და გარდასწყვიტა სთხოვოს საგუბერნიო მმართველობას სერობიანცის გადაყენება სამსახურიდან და სამართალში მიცემა.

✦ საერო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ ამიერიდან უეგზამენოდ აღარ მიიღონ საქალებო გიმნაზიების მერვე კლასში ექვს კლასიან ეპარქიალურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს განზრახვა აქვს დაარსოს ყველა **საბადოსნო სკოლებთან** სამეცნიერო საცდელი და სანიმუშო ბაღები.

✦ ახირებულად „ადგენენ“ „ივერიაში“ ახალ ამბებს. თანამშრომლებს ეზარებათ რუსულიდან თარგმნა და უცდიან „ცნ. ფურცლის“ თარგმანს და შემდეგ გადაბეჭდავენ თავის გაზეთში უკვე „დაძველებულს ახალ ამბავს“; ამგვარ ამბების წყაროს, რასაკვირველია, არ უჩვენებენ, მაგრამ ჩვენს გაზეთს მაშინაც არ ახსენებენ, როდესაც არა თარგმნილ ორიგინალურ ამბავს გადაბეჭდვენ ხოლმე. ხშირად მარტო ფაქტს კი არ გადაბეჭდენ, არამედ ჩვენს შენიშვნასაც და წყაროს არც მაშინ ასახელებენ! ასე მოექცნენ ამას წინად ჩვენს შენიშვნებს ტფ. სახაზინო თეატრის შესახებ. გუშინდელ №-ში კი „ივერიას“ გადაუბეჭდია ცნობა ქუთაისის საბჭოს შესახებ და ჩვენი საყვედური საბჭოს მიმართ თან მიუყოლებია, როგორც თავისი... საზოგადოდ, „ივერიის“ ქრონიკიორი მეტად უყურადღებოდ ეკიდება თავის საქმეს. ამ გაზეთში ერთი თვე იბეჭდებოდა ვრცელი ანგარიში ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრების შესახებ და, სხვათა შორის, ისიც იყო ვრცლად აღწერილი, თუ რა კამათი იყო და როგორ გადაწყდა კრებაზე საბჭოს სადგომის გადატანის საქმე ჭიათურაში. გუშინ კი „ივერიაში“ ახალ ამბად (sic) არის დასტამბული, ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ კრებას გადაუწყვეტია გადატანილ იქმნას საბჭოს სადგომი ჭიათურაში.

## თეატრი

**ოპერა.** უკვდავი შექსპირის ტრაგედია «რომეო და ჯულიეტა», რომელიც ქართულადაც არის ნათარგმნი, ხელოვნურად არის გადაკეთებული ოპერად, მუსიკა ამ ოპერისა დაუწერია გუნოს. მუსიკა მომხიბვლელი, წყნარი, ნაზი, გრძნობით სავსეა და დიდს და ფართო ადგილს უთმობს არტისტის ნიჭს და ხმას. ამ ოპერაში ორი როლია თვალსაჩინო, ორი როლია, რომელნიც იზიდავენ მაყურებლებთა ყურადღებას —შეყვარებულთა რომეოსი და ჯულიეტასი. არ არის ადგილი მთელ ოპერაში, რომ როგორც მუსიკალურის მხრივ, ისე დრამატიულის—ეტყობოდეს რამე სისუსტეები, დუეტები ერთიერთმანეთზე უკეთესები იმონებენ საზოგადოების ყურადღებას.

რომეომ—ბ. ბორისენკომ, ჯულიეტამ—ქ. პაპაიანისამ, სამართლიანად დაიმსახურეს ის ხანგრძლივი ტაშის-ცემა, რომლითაც ასაჩუქრებდა მათ საზოგადოება. ბ. ბორისენკომ სავსებით ითამაშა გულმხურვალედ შეყვარებულის როლი, თუმცა სიმღერის შესახებ ესევე არ ითქმის. ამ არტისტს ხშირად მშვენიერი ხმა იცვლება ხოლმე და მაღალი ნოტების ასაღებად თითქო ძალას ატანს თავის-თავს. მაგრამ როდესაც ბ. ბორისენკო ხმის შესაფერ ნოტებს მღერის თავისუფლად—ამ ადგილებში საუცხოვოა. ქ. პაპაიანი ჯულიეტას პარტიას უფრო კარგად მღეროდა, ვიდრე თამაშობდა. ხმა მშვენივრად აქვს შემუშავებული და მნელი, საკრაკო ადგილები საუცხოვოდ იმღერა. არტისტკას აკლდა სიცოცხლე და გრძნობა, რომლებიც საჭირონი არიან ჯულიეტას როლის ასასრულებლად. რომეო და ჯულიეტა შეყვარებულთა იდეალები არიან და ამ პარტიის ამსრულებელთ ჩვეულებრივზე მეტი გრძნობა უნდა გამოიჩინონ. სხვა მომღერლებიც და ხოროც მხარს უჭერდნენ უმთავრეს როლების ამსრულებელთ. ბალეტი უფერული იყო და უსიცოცხლო.

## დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 16 სექტემბერი

**იოკაგამა.** იამაგატას სამინისტრომ თავი დაანება სამსახურს; ახალს სამინისტროს შეადგენს, ალბათ, მარკიზი იტო.

**სოფია.** სპარსეთის შაჰი წავიდა კონსტანტინეპოლს.

**ტიანძინი.** შიკრიკმა ცნობა მოიტანა, რომ შანსის პროვინციაში ჩინელებმა დახოცეს შვედელი მისსიონერებიო.

**შანხაი.** უტყუარ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სამხრეთ პროვინციების მმართველთ, რომელნიც ევროპიელების მეგობრებად ითვლებიან, მიუმართავთ წერილით ჩინეთის სამეფო სახლობისათვის და მძიმე ბრალსა სდებენ პრინც ტუანს, კან-ის და ტუნ-ფუ-ცზიანს. ტუნ-ფუ-ცზიანი ისევ მთავარსარდლობს ჩინეთის ყველა ჯარებს. თუ ჩინეთმა უყურადღებოდ დასტოვა ამერიკის პროტესტი ტუანის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარედ დანიშვნის შესახებ, ამერიკა უარჰყოფს მშვიდობიანობაზე მოლაპარაკებას; მოლაპარაკების გაგრძელებაზე შეიძლება დასთანხმდეს ამერიკა იმ შემთხვევაში, თუ მას გარანტიას მისცემენ, რომ მოლაპარაკება თავისუფალი იქნება იმპერატორის ცენზურისაგან.

ნანკინიდან იტყობინებიან, რომ სამხრეთ პროვინციების მმართველნი მოელიან, რომ გერმანია და ინგლისი ომს გამოუცხადებენ ჩინეთს და ამიტომ ჩინეთი ვერ გადასცემს უცხო სახელმწიფოებს აჯანყების მეთაურთ. ჯარები და სამხედრო მასალა იგზავნებიან ტაიენფუში.

### 17 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ელჩი გირსის დეპეშა: „უმაღლესი ბრძანების თანახმად, შაბათს მთელის მისსიით მივდივარ ტიანცზინში“.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ი იტყობინება: დაბეჯითებით ამბობენ, რომ დღეს ტაიენფუდან მოვა ბოგდიხანის ბრძანება, რომლითაც ჩინები ერთმევათ და სამსახურიდან დათხოვნილ იქნებიან მოკრივეთა წინამძღოლნი: თავადები ტუანი, ჩეუანი და ლანი, კანცლერი კან-ი და პოლიცმეისტერი ინიანი.

**ლონდონი.** მინისტრი ჩემბერ-

ლენი კვლავ იქმნა არჩეული დეპუტატად პარლამენტში; ბირმინჰამში სხვა კანდიდატი არც დაუსახელებიათ.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმა უბოძა გენერალს სტესსელს წითელის არწივის ორდენი მეორე ხარისხისა.

**ბაქო.** დიდი ცეცხლი გაჩნდა საბუნჩის ნავთის ადგილებში, 15 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაზარალდნენ ნაგიევი, ნობელი, თუმაევი, ბაქოს ნავთის საზოგადოება, რუსეთის ნავთის საზოგადოება და საზოგადოება „როსსია“; დაიწვა 87 საწარმოებელი, სახლები, 10 რკინის რეზერვუარი, 500 ათასამდე ფუთი ნავთი და სხვა-და-სხვა მაშინები. ცეცხლი ჯერაც არ ჩამქრალა. ზარალი აუარებელია.

**ვაშინგტონი.** ამერიკის კონსულმა შანჰაიდან აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ შენს უჩვენებია მისთვის იმპერატორისა და ქვრივი დედოფლის ბძანება, გამოცემული ტაიენფუში, რომელშიაც გამოთქმულია განკიცხვა ჩინეთის მინისტრებისა, მასზედ რომ ისინი აქეზებდენ „დიდი მუშტის“ მოძრაობას, ამ ბრძანებით ოთხ პრინცს ჩამოერთმევათ ღირსება და პრინც ტუანს ის უპირატესობანი და მხლებლები, რომელნიც მას ეკუთვნოდნენ მისი თანამდებობის შესაფერად. ამას გარდა ნაბრძანებია, რომ პრინცი ტუანი მიეცეს, საიმპერატორო გვარეულობის წევრთათვის დაწესებულს, განსაკუთრებულს სამართალს.

**ჰონკონგი.** ინგლისის გემი, „ლუნკიანგი“, რომელიც კანტონსა და ვუჯოუს შუა მიდიოდ-მოდიოდა, 11 ენკენისთვეს ლუკლავოში დაიჭირეს ჩინელებმა, რომელთაც ხუთი ყუმბარა ესროლეს გემსა. გემის მაშინისტი დაჭრილია. ინგლისის კონსულმა, რომელსაც ეს ამბავი შეატყობინეს, მოსლერა „ლუნკიანგს“, რომ ლუკლაოს არხს ასცდეს ხოლმე.

**შანჰაი.** გამოქვეყნდა იმპერატორის ბძანება, რომელშიაც ეცხადება მადლობა რუსის იმპერატორს პეკინიდან ჯარების გაყვანისათვის.

**პეტერბურგის ბირჟა 15 სექტემბ.**

| | მყიდვ. ითხ. | გაყიდ. ვაჭრ. | გაყიდ. ითხ. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $96^1/_8$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99^1/_4$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $97^1/_4$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $332^1/_2$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 282 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $214^1/_2$ |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | $88^1/_4$ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | $95^1/_2$ | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86 | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | $101^1/_2$ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | $96^1/_2$ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ.საკრედიტო საზოგ. . . | — | 96 | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — | $86^1/_2$ | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 | გ. | $8^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . . . | . | » | — | 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | . | » | — | $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა . . . | . | 1 | — | 8 კ. |
| » კამეჩისა | » | » | — | 5 კ. |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 | » | — | 10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 კ. |
| » | II | » | » | » | $3^1/_2$ » |
| » | III | » | » | » | 3 » |
| ავიპე თორნისა | I | » | » | » | 5 » |
| » | II | » | » | » | 4 » |
| » | III | » | » | » | $3^1/_2$ » |
| დაგაში ჯგ. მმ. | I | » | » | » | 6 » |
| » | II | » | » | » | 4 » |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | გოგზალზე: | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | გ. | მ. | გ.. |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . . . | 1 | —მ. | —70 | კ. |
| სიმინდი . . . . | 1 | — | —65 | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | —20 | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 51 | 10— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 30 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 55 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 30 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— |
| ბზე. . . . . . | 1 | — | 23 | —— |

შუა რეხილისა 1 სრული საყ სანწყობებში 38 მ., შუა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.დამ 34 მ,

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხ. | | ხარისხ. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ.
„ ფხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გარეცხ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10%, შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კუკიის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და კუზნოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ [illegible] ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მექქისე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 18 სექტემბერს 1900 წ., შუადღის 12 საათზე, **დანიშნულია საჯარო**

# ვაჭრობა,

რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით ქალაქის 1-ლ ნაწილში კობის ქუჩის მოკირწყვლის საქმე; ქუჩის სიგრძე 123 საჟენია; მუშაობა ღირს—1087 მან. 40 კ.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილის დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3-მდე. (ნ. 3—3)

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Сентября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბს. განქის დიდი ქუჩა, № 27.